

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული პროგრამების  
აღწერილობა (კატალოგი)

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

მისამართი: 26 მაისის ქუჩა N 80 ქ. მარნეული საფოსტო ინდექსი 3000 , საქართველო

ტელ: 599041184; 591919784; 577970205; 593530404

ვებგვერდი: [www.mscollge.ge](http://www.mscollge.ge)

ელექტრონული მისამართი: [mscollge.ge.edu@gmail.com](mailto:mscollge.ge.edu@gmail.com)

## შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

### ინფორმაცია შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის შესახებ

2019 წლის 30 მაისს, ქალაქ მარნეულში დაარსდა შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი, რომელიც განახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს ჯანდაცვის მიმართულებით და სხვადასხვა მიმართულების პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად.

აგნობიერებს რა პასუხისმგებლობას ქვემო ქართლის რეგიონის, ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯმა მიზნად დაისახა:

- ა) საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესების მუდმივი გაუმჯობესობა და უწყვეტი განვითარება;
- ბ) სტუდენტთა პროფესიული მომზადების უზრუნველყოფა და რეგიონალურ და ეროვნულ ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით მათი მხარდაჭერა;
- გ) პოტენციური დამსაქმებლების მიზნებისა და გამოცდილების გათვალისწინება და საგანმანათლებლო პროცესში მათი შეხედულებების ჩართვა;
- დ) სასწავლო პროცესში ახალი ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა;
- ე) საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება;
- ვ) ეროვნული და საერთაშორისო სტუდენტის მობილობის ხელშეწყობა;
- ზ) პროფესიული სტუდენტებისათვის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პროექტების შემუშავება და მხარდაჭერა;
- თ) ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- ი) პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა;
- კ) კოლეჯის აღიარება პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში.

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯს პრიორიტეტად მიაჩნია: პროფესიული განათლების შეთავაზება და სწავლა/სწავლების კომპონენტების განვითარება ჯანდაცვის მიმართულებით. ქვემო ქართლის რეგიონსა და ქვეყნის მასშტაბით დასაქმების ამ შრომის ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციისათვის ხელშეწყობა.

კოლეჯის ადგილმდებარეობამ, ქვემო ქართლის საჭიროებებმა და რეგიონის მხარდმა მოსახლეობამ განსაზღვრა კოლეჯის საქმიანობის სფერო - პროფესიული სწავლება ჯანდაცვის მიმართულებით.

ჯანდაცვის სისტემა და მოსახლეობისთვის მიწოდებული მომსახურება არსებითად არის დამოკიდებული სისტემაში მომუშავე კადრების რაოდენობაზე, მათ მომზადებასა და შენარჩუნებაზე. საქართველოში აღინიშნება ექთნების რაოდენობის დეფიციტი. სათანადო კვალიფიკაციის კადრების მომზადება და მათი საჭირო ადგილას გამოყენება შესაბამისი დავალებების შესასრულებლად ჯანდაცვის საკადრო პოლიტიკის ძირითადი მიზანია. საქართველოში ექთნების რაოდენობა ერთ-ერთი დაბალია ევროპის რეგიონში და წლიდან წლამდე მცირდება. ექთნების რაოდენობის შემცირებაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა დაბალმა ხელფასებმა, რომელსაც სახელმწიფო არ არეგულირებს. ექსპერტთა აზრით, ექთნების დაბალი ხელფასი მათი დაბალი კვალიფიციურობით არის გამოწვეული. მძიმე მდგომარეობაა ექთნების დაბერების მაჩვენებელშიც. მათი საშუალო ასაკი 50 წელს გადასცდა. უახლოეს წლებში მოსალოდნელია კიდევ მათი დეფიციტი. ოფიციალური სტატისტიკით საშუალო ევროპული მაჩვენებლით ქვეყანამ წელიწადში 1400 ექთანი უნდა მოამზადოს. შესაბამისად, ჯანდაცვის სექტორის საჭიროებიდან გამომდინარე, აუცილებელია ექთნების როლის, ფუნქციების განსაზღვრა და რაოდენობის გაზრდა.

საექთნო განათლების მიზანია პროფესიონალი ექთნების მიერ კვალიფიციური მომსახურების გაწევა. ამისთვის საჭიროა საექთნო საქმიანობის პოპულარიზაცია, საექთნო სასწავლებლებში სტუდენტების რაოდენობის გაზრდა და მათი განათლების ხარისხის ამაღლება.

## შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესწავლისას (რეგიონის დარგობრივი ფაქტორული ანალიზი SWOT ანალიზი, მიზანი 11. სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება; მიზანი 12. განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარება) გამოიკვეთა რეგიონის პრობლემა - მაღალკვალიფიციური ექთნების დეფიციტი.

შესაბამისად ახლად დაარსებულმა შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯმა გადაწყვიტა მაღალ კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება საექთნო საქმეში, რითაც ხელს შეუწყობს ჯანდაცვის სფეროს ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონში ხარისხიანი მომსახურების გაწევას საექთნო განათლებაში.

საქართველოს მასშტაბით კვალიფიციურ ფარმაცევტებზე დიდი მოთხოვნაა. ქვემო ქართლის რეგიონში მოთხოვნადი პროფესიის მიხედვით ფარმაცევტები პირველ ადგილს იკავებენ. შესაბამისად, შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯმა გადაწყვიტა განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ და ნაწილობრივ დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის მოთხოვნა მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრებით.

იხ. კვლევები:

1. ექთნების საქმიანობის გარემოს მახასიათებლები და სამუშაოთი კმაყოფილება საქართველოში (<https://heconomic.wordpress.com/2019/02/11/nurse/>);
2. ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის ([http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/kvemo\\_kartlis\\_regionis\\_ganvitarebis\\_strategia\\_2014-2021\\_clebistvis\\_0.pdf](http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/kvemo_kartlis_regionis_ganvitarebis_strategia_2014-2021_clebistvis_0.pdf));
3. „შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა“ ([https://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01\\_GEO/Shroma/kvleva/33.pdf](https://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/Shroma/kvleva/33.pdf)).

ამ ეტაპზე კოლეჯს ემსახურება 34 პერსონალი, მათ შორის 11 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი და 23 პროფესიული მასწავლებელი. კოლეჯი გეგმავს მოემსახუროს 200 პროფესიულ სტუდენტს და სთავაზობს მათ ხარისხიან პროფესიულ განათლებას, შრომის ბაზარზე დასაქმების ხელშეწყობას, მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრებით უზრუნველყოფას. კოლეჯის პერსონალის ურავლესობას საგანმანათლებლო სივრცეში მოღვაწეობის გამოცდილება აქვს. კოლეჯი მზადაა ხელი შეუწყოს პრიორიტეტად გამოცხადებული მიმართულებებით პრაქტიკულ საქმიანობებში სტუდენტების ჩართვას და პროფესიული განათლების პოპულარიზაციას, გეგმავს გახდეს საიმედო და სასურველი პარტნიორი კოლეჯი ქვემო ქართლის რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით.

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯს გააჩნია თანამედროვე ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ორი კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა წიგნადი ფონდით, პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი და ყველა ის სიკეთე, რაც აუცილებელია თანამედროვე კოლეჯის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის. კოლეჯის მაღალკვალიფიციური პერსონალი და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტიან გამოყენებას, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას, ცოდნის გაღრმავებას და კონკურენტუნარიანობის ზრდას. კოლეჯში გაიზრდებიან დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგული ახალი თაობები და შეძლებენ თავიანთი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენასა და გამოყენებას. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით გადაიქცევა პროფესიული განათლების მიღების საუკეთესო ცენტრად.

### შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მისია

- უზრუნველყოს კოლეჯის საქართველოს პროფესიული განათლების ერთიან სივრცეში ინტეგრაცია;

## შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

- განახორციელოს საქართველოსა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- მოახდინოს პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და ხელი შეწყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას;
- მოამზადოს მაღალკვალიფიციური, ლიბერალური ღირებულებების საზოგადოების აქტიური წევრები, განუვითაროს მათ პროფესიული უნარები და უზრუნველყოს მათი კონკურენტუნარიანობა დასაქმების ბაზარზე;

### ხედვა

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“ 2025 წლისათვის არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც სწავლების თანამედროვე მეთოდებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებითა და მრავალფეროვანი სერვისებით პასუხობს საქართველოსა და ქვემო ქართლის რეგიონის წინაშე არსებულ გამოწვევებს, ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას; ხელს უწყობს ადამიანურ ღირსებას, უნივერსალურ ადამიანურ უფლებებს და თავისუფლებას ყველასთვის განურჩევლად კაცის, ქალის, რასის, ფერის, რელიგიის და წარმომავლობისა.

### მიზანი:

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“ მიზნად ისახავს უზრუნველყოს საზოგადოება მაღალ კვალიფიციური პროფესიული განათლებით, რაც ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობის საფუძველი იქნება.

### ღირებულებები

- საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმებისა და პრინციპების დაცვა;
- პროფესიული ცოდნის გადაცემის უკომპრომისო ვალდებულება;
- მაღალკვალიფიციური პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ურთიერთდახმარების ვალდებულება, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება ჩვენს ხედვასა და მისიას.
- აუდიტორიული/საკლასო განათლების კომბინაცია „რეალურ სამყაროს“ გამოცდილებასთან პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებით;
- ძლიერი კოლაბორაციული ურთიერთობები კერძო სექტორთან, მთავრობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საზოგადოებასთან.

### პარტნიორი ორგანიზაციები

1. შპს ელთუნი (აფთიაქი);
2. ი/მ მანია კაბულოვი (აფთიაქი);
3. ი/მ ლია ჭილაძე (აფთიაქი);

## შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

4. შპს ავერსის კლინიკა (კლინიკური სწავლება);
5. შპს მარნეულის ამბულატორია (ბიოქიმიის მოდული);
6. შპს რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი (კლინიკური სწავლება);
7. შპს მარნეულის ამბულატორია (კლინიკური სწავლება).
8. შპს ოპტიმალ მედი (კლინიკური სწავლება).

**ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული/საგანმანათლებლო პროგრამები (მოდულური), რომელთა განხორციელების უფლების მოპოვებას გეგმავს კოლეჯი:**

1. საექთნო განათლება;
2. ფარმაცია (სააფთიაქო).

აღნიშნულ პროფესიული /საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური), განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში გამოცხადდება საშემოდგომო მიღება (2019)

პროგრამებზე სწავლების სურვილის შემთხვევაში უნდა მიმართოთ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 11:00 საათიდან 17:00 საათამდე  
ტელეფონი: 599041184; 591919784; 577970205; 593530404

სავალდებულო დოკუმენტაცია:

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პირადობის მოწმობა დედანი და ასლი;
- ორი ფოტოსურათი 3\*4
- ადგილზე ავსებთ სპეციალური განაცხადის ფორმას

### საექთნო განათლება



## შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში/Associate Degree in Nursing

( ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან)

ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში / Fifth Level Vocational Qualification in Nursing (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი)

**პროგრამის მოცულობა:** საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლების ითვალისწინებს 180 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა კი 171. საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი. და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი
- თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი
- თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი
- თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი
- პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი
- კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

**პროგრამის მიზანი:** მოამზადოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი.

### სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს და უზრუნველყოს შინმშობლის მომსახურების გაწევა;
- განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
- დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

## შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

### დასაქმების სფეროები:

ჯანდაცვის სფერო, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებები, შინმოვლის სფერო, სხვა ტიპის ორგანიზაციები, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას. დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორში (ISCO-08) იდენტიფიცირებულია „32 ჯანდაცვის სფეროს“ ასოცირებული პროფესიონალები, საექთნო სფერო, კოდი 3221.

დასაქმების პოზიციები:

- ექთანი
- ექთნის ასისტენტი
- ექთნის თანამშრომელი
- პრაქტიკოსი ექთანი
- ასოცირებული პროფესიონალი ექთანი

საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.) - სექცია Q ჯანდაცვის საქმიანობები 86-ე განყოფილება

### სწავლების ხანგრძლივობა:

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე კლინიკური სწავლების კომპონენტსაც. სწავლა-სწავლების პროცესი გრძელდება 31 თვე (123 კვირა) სრული დატვირთვით. პროგრამით განსაზღვრული კლინიკური სწავლება სრული მოცულობის ნახევარს (90 კრედიტი) შეადგენს.

პროფესიულ სტუდენტისათვის, რომელსაც არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა, პროგრამის მოცულობაა 210 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 37 სასწავლო თვე);

**შენიშვნა:** ქართული ენის მოდულების (30 კრედიტი) გავლა სავალდებულოა კოლეჯში ჩარიცხულ მხოლოდ იმ პირთათვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის ცოდნა. აღნიშნული პირისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა იწყება ქართული ენის მოდულებით.

### სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

## შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

**შენიშვნა:** პროფესიული სტუდენტის შეფასებებისას მოდულის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის აუცილებელია, რომ თითოეული სწავლის შედეგი დადასტურებულ იქნას არანაკლებ 75 %-ით.

### კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა. პროფესიულ სტუდენტს კვალიფიკაციას ანიჭებს შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საექთნო და სამეანო საქმე“ (კოდი 0913).

**პროგრამის ხელმძღვანელები:**

**ზაზა ქამუშაძე**

**გიორგი პაპაშვილი**

### ფარმაცია (სააფთიაქო)



მისანიჭებელი კვალიფიკაცია:



## შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

- ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში / Associate Degree in Pharmacy ( ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან)  
ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში / Fifth Level Vocational Qualification in Pharmacy (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი)

### პროგრამის მოცულობა:

საგანმანათლებლო პროგრამა- ფარმაცია (სააფთიაქო) მოიცავს ზოგად მოდულებს 11 კრედიტის მოცულობით, პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს - 109 კრედიტის მოცულობით და არჩევით მოდულს 3 კრედიტის მოცულობით. შესაბამისი მოდულების გავლით პირი ეუფლება ცოდნას და კვალიფიკაციისათვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარ-ჩვევები. კვალიფიკაციის მაძიებელმა უნდა დააგროვოს 123 კრედიტი, რათა მიიღოს შესაბამისი კვალიფიკაციის. პროფესიული პროგრამაში განსაზღვრულია შემდეგი ტიპის მოდულები:

- ზოგადი კომპეტენციების განმავითარებელი - 11 კრედიტის მოცულობით;
- პროფესიულ/დარგობრივი მოდულები - 109 კრედიტის მოცულობით.
- არჩევითი მოდული - 3 კრედიტის მოცულობით.

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

**პროგრამის მიზანი:** მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების-განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას;

### სწავლის შედეგი:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად;
- დაადგინოს თანხმობა დოკუმენტაციასთან იგივეობა;
- შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა;
- განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე;
- ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის პერიოდული კონტროლი;
- განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება-მარკირება;
- მომზადება რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები;
- გათვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები;
- განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;
- განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია;
- განახორციელოს ანგარიშის მომზადება-ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ ;
- დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

## შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

**დასაქმების სფეროები** - ფარმაციაში ასოცირებული ხარისხის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

სწავლების ხანგრძლივობა:

სწავლა-სწავლების პროცესი გრძელდება 21 თვე (44 კვირა) სრული დატვირთვით.

პროფესიულ სტუდენტისათვის, რომელსაც არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა, პროგრამის მოცულობაა 153 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 27 სასწავლო თვე);

**შენიშვნა:** ქართული ენის მოდულების (30 კრედიტი) გავლა სავალდებულოა კოლეჯში ჩარიცხულ მხოლოდ იმ პირთათვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის ცოდნა. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა იწყება ქართული ენის მოდულებით.

### სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

### კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიულ სტუდენტს კვალიფიკაციას ანიჭებს შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება ვიწრო სფეროს ჯანდაცვა, დეტალურ სფეროს - ფარმაცია (კოდი 0916).

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული პროგრამების  
აღწერილობა (კატალოგი)

პროგრამის ხელმძღვანელი :

- ელმირა ოჯაგოვა

გისურვებთ წარმატებებს!